**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

15 სექტემბერი 2025

N 494/ს

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32 900 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის (შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობა და ექსპლუატაცია) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2014 წლის 4 ივნისს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2020 წლის 27 ივლისს, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-656). ამასთან, 2020 წლის 11 სექტემბერს და 2022 წლის 4 აგვისტოს ზემოაღნიშნული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება №2-812; №235/ს), რომელთა საფუძველზე ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები არ დაექვემდებარა გზშ-ს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საბაზისო პროექტით განსაზღვრული შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს კუთვნილი ობიექტი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.10.22.409; ფართობი: 35 454 მ²; ს/კ: 81.10.22.390; ფართობი: 16 750 მ²). საბაზისო პროექტითა და მასში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებით ობიექტზე გათვალისწინებულია: 32 900 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავები; ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი დანადგარი; საგზაო ბიტუმის წარმოების დანადგარი; ნავთობპროდუქტებისა და ბიტუმის ჩამოსასხმელი მილსადენები; ნავთობპროდუქტების სატუმბი და გამცემი სადგურები; 2 ტ/სთ წარმადობის (17 520 ტ/წელ) დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარი; 2000 მ³ მოცულობის სახანძრო წყლის რეზერვუარი და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტები; სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარი;

რკინიგზის ლიანდაგის ჩიხი და ავტოგზა; საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა-ნაგებობები. ობიექტის ტერიტორია შემოფარგლულია 1.8 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის ღობით. ობიექტის ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფელი ვაზიანი, დაშორებულია დაახლოებით 750 მეტრით, ხოლო ობიექტის მომიჯნავედ განთავსებულია შპს „ენმა ოილი"-ს ნავთობბაზა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ზდ ნავთობის კომპანია" გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას. კერძოდ, სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციითა და თანდართული Shape ფაილებით, ობიექტის ტერიტორია მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს (ს/კ: 81.10.22.409; ფართობი: 35 454 მ$^2$; ს/კ: 81.10.22.390; ფართობი: 16 750 მ$^2$; ს/კ: 81.10.22.688; ფართობი: 28 636 მ$^2$), სადაც გათვალისწინებულია დამატებით 8 ერთეული, ჯამურად 11 000 მ$^3$ ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა. აღნიშნული ცვლილებით ობიექტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების საცავების ჯამური მოცულობა 32 900 მ$^3$-დან გაიზრდება 43 900 მ$^3$-მდე. ამასთან, ობიექტზე განთავსებული დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის წარმადობა 2 ტ/სთ-დან გაიზრდება 3 ტ/სთ-მდე (17 520 ტ/წელ-დან 26 280 ტ/წელ-მდე).

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, სახანძრო და ტექნიკური მიზნებისთვის (რეზერვუარების რეცხვა, ტექნოლოგიური დანადგარების გაცივება და სხვა). სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალით ობიექტის მომარაგება უზრუნველყოფილია სპეციალური ჭურჭლით შეტანილი წყლით, ხოლო სახანძრო წყლით – მიმდებარედ არსებული სამგორის არხიდან. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, ობიექტზე მოსაწყობი 8 ერთეული რეზერვუარის რეცხვისთვის, დამატებით საჭირო იქნება წელიწადში 160,0 მ$^3$ წყლის გამოყენება, რომელიც ამოღებული იქნება სამგორის არხიდან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური, ტექნიკური და სანიაღვრე წყლები. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები იკრიბება ტერიტორიაზე არსებულ საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლაც ხდება საჭიროებისამებრ, სპეცავტომანქანების საშუალებით. საწარმოო-სანიაღვრე წყლებად განიხილება რკინიგზის და მანქანებში ჩასასხმელი ესტაკადების ტერიტორიიდან, რეზერვუარების პარკიდან, სატუმბი სადგურიდან და სხვა ტექნოლოგიური ობიექტებიდან მიღებული წყლები. სანიაღვრე ჩამდინარე წყლებად განიხილება ატმოსფერული ნალექების შედეგად დანარჩენი ტერიტორიიდან მიღებული წყლები. ობიექტის ტერიტორიაზე არსებული დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული ტექნიკური წყლის მიწოდება წარმოებს ბრუნვითი წყალმომარაგებით, შესაბამისად, ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. ობიექტის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წვიმის წყლის შემკრები კანალიზაცია, რომელიც მოიცავს რეზერვუარების პარკს, ნავთობპროდუქტების გამცემ პუნქტს და რკინიგზის ესტაკადას, რომელთა ჯამური ფართობი 2,46 ჰა-ს შეადგენს. ტერიტორიის კანალიზირებულ ფართზე მოსული წყალი, ყოველი წვიმის შემდეგ, გამოიშვება სპეციალურად მოწყობილ წყალმიმღებ ჭაში, საიდანაც წყალმიმღები არხებისა და ჭების მეშვეობით ხვდება „Bekca"-ს ფირმის გამწმენდ დანადგარში, რომლის წარმადობა შეადგენს საათში 36 მ$^3$-ს. აღნიშნული დანადგარი უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტებითა და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლის გაწმენდას. გაწმენდის შემდგომ სანიაღვრე ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია იქნება 3-5 მგ/ლ, ხოლო ნავთობპროდუქტების კონცენტრაცია – 0,05-0,3 მგ/ლ. გაწმენდილი სანიაღვრე წყალი ჩაედინება ობიექტის მიმდებარედ არსებულ უსახელო ღელეში, რომელიც წარმოადგენს მდინარე ლოჭინის შენაკადს. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, გაიზრდება ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის რაოდენობა, რაც საათში 75,545 მ$^3$-ს შეადგენს. იმისათვის, რომ არ მოხდეს სარეზერვუარო პარკებში წარმოქმნილი

სანიაღვრე წყლის ნავთობდამჭერისთვის ერთდროული მიწოდება, სარეზერვუარო პარკები უზრუნველყოფილია შემაკავებელი ურდულებით. რაც შეეხება დანარჩენი ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლის გაყვანას, იგი გადაწყვეტილია ზედაპირული კიუვეტების საშუალებით, როგორც პირობითად სუფთა წყალი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადების, ამილენების, ბენზოლის, ქსილოლის, ტოლუოლის, ეთილბენზოლის, გოგირდწყალბადის, ნახშირჟანგის და აზოტის დიოქსიდის წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის ანგარიშის შედეგების მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, 500-მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე, კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ გადააჭარბებს.

დოკუმენტში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული რეზერვუარების მოსაწყობად საჭირო სამშენებლო სამუშაოების და ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომელიც შესრულებულია უარესი სცენარით. მიღებული შედეგებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული რეზერვუარების მოსაწყობად საჭირო სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 35,77 დბა-ს, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე – 37,97 დბა-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დასაშვები ხმაურის ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა 2025-2027 წლებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული რეზერვუარების მოწყობა დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც მობეტონებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილება გარემოს სხვადასხვა

კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32 900 $m^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **არ საჭიროებს** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას;
2. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 27 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-656) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
4. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;
5. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 27 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-656) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო გარდაბნის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/494-21-4-202509151746

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE